გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №22(155) 2017 წ. 16-30 ნოემბერი ფასი 50 თეთრი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს

საკრებულოს თავმჯდომარე

ოთარ ჩალათაშვილი

დაიბადა 1981 წელს

განათლება – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სპეციალობა – სამართალმცოდნეობა (ბაკალავრი – 1998-2003წწ).

სამუშაო გამოცდილება – თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის სტაჟიორი (2001-2002წწ); სააღმსრულებო დეპარტამენტი – სტაჟიორი (2002-2004წწ); სააღმსრულებო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოს თბილისის სააღმსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილი, სპეციალური ჯგუფის წევრი (2005-2008წწ); აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღმსრულებო ბიუროს სასამართლოს აღმასრულებელი, მიზნობრივი სპეციალური ჯგუფის წევრი (2008-2009წწ) იურიდიული კომპანია CFJ and partners, დირექტორი (2009-2010წწ); შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, კახეთის რეგიონული ფილიალი, საგარეჯოს „სერვის-ცენტრის“ შემოსავლების განყოფილების უფროსი (2010-2012წწ); შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, კახეთის რეგიონული ფილიალი, საგარეჯოს „სერვის-ცენტრის“ მენეჯერი (2012-2016წწ); საქართველოს მელიორაცია, კახეთის რეგიონული ოფისის უფროსი (2016-2017 წლის 1 აგვისტომდე);.

ჰყავს მეუღლე – *მაგდა ჩალათაშვილი* (იურისტი, სერვისის განვითარების სააგენტოს მთავარი სპეციალისტი) და ოთხი შვილი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება № 36

20 ნოემბერი 2017 წელი — **ქ.საგარეჯო**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტისა და 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს უფლებამოსილების ვადით არჩეულ იქნეს საკრებულოს წევრი **ოთარ ჩალათაშვილი**
2. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში სიღნაღის რაიონულ სასამართლოში. მისამართი: ქ.სიღნაღი ც.დადიანის ქ№15.

საკრებულოს უხუცესი წევრი,
სხდომის თავმჯდომარე: ***ნიკო გიუაშვილი***

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება № 39

20 ნოემბერი 2017 წელი — **ქ.საგარეჯო**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტისა და 36–ე მუხლის პირველი პუნქტისა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე საკრებულოს უფლებამოსილების ვადით არჩეულ იქნეს საკრებულოს წევრი **ლელა მარიდაშვილი**
2. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში სიღნაღის რაიონულ სასამართლოში. მისამართი: ქ.სიღნაღი ც.დადიანის ქ№15.

საკრებულოს თავმჯდომარე : ოთარ ჩალათაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე



ლელა მარიდაშვილი

დაიბადა 1967 წელს

განათლება – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სპეციალობა – სამართალმცოდნე (1985-1991წწ).

სამუშაო გამოცდილება: კონო-სტუდია „ქართული ფილმი“ – იურისკონსულტი (1992-1994წწ); საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი, ადვოკატი (1994-2006წწ); პარალელურად ეწეოდა მეცნიერულ მუშაობას, ლექციებს კითხულობდა თბილისის ეკოლოგიურ-ეკონომიკურ ინსტიტუტში; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი-ადვოკატი (2006-2017 წლის ნოემბრამდე).

მეუღლე – გოჩა ხაჩიური, იურისტი.

შვილები – ბექა და თამთა ხაჩიურები.

№ 11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქში
2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი მმართველობის არჩევნებით
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში

პროპორციული სისტემით არჩეული წევრები

№ 2. ბაქრაძე, უგულავა – ევროპული საქართველო

1. ამირან სონიშვილი
2. თაკო გოგიტაშვილი

№ 5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

1. გარსევან ბუხნიკაშვილი
2. ნიკოლოზ ნაცვლიშვილი

№ 8. დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი

1. სოსლან გარსევანიშვილი

№ 41. ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

1. პაატა ასრათაშვილი
2. ელდარ მეფარიძე
3. ლელა მარიდაშვილი
4. მამუკა კურდღელაშვილი
5. ზურაბი უსტიაშვილი
6. თამაზი ურდულაშვილი
7. თამარი სუხიაშვილი
8. მევლუდ დუჩიძე
9. გივი ბედიაშვილი
10. ალექსანდრე მეზვრიშვილი

№ 11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქში 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი მმართველობის არჩევნებით

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში

მაჟორიტარული სისტემით არჩეული წევრები

1.01 გომბორი **დავითი არაბული** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.02 კოჭბაანი **ხათუნა ბერიძე** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.03 უჯარმა **კონსტანტინე ღოღელიანი** დამოუკიდებელი

11.04 ხაშმი **ნიკო ნახუცრიშვილი** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.05 პატარძეული **დავითი თათრიშვილი** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.06 ნინოწმინდა **ელენე სამხთუაშვილი** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.07.01 საგარეჯოს ქალაქის **ოთარ ჩალათაშვილი** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.07.02 საგარეჯოს ქალაქის **ივანე ივანიშვილი** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.08 გიორგიწმინდა **ივანე ბეჟიაშვილი** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.09 სათაფლე (კრასნაგორკა) **გიორგი მუჩიაშვილი** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.10 თოხლიაური **ვეფხია ჩერქეზიშვილი** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.11 მანავი **ნიკო გიუაშვილი** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.12 ჩაილური **მამუკა ჯაჯვაძე** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.13 კაკაბეთი **დიმიტრი მჯედლიშვილი** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.14 ყანდაურა **ავთანდილი გოგიაშვილი** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.15 მზისგული (ბოგდანოვკა) **სოსო ჭიკაძე** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.16 შიბლიანი **თენგიზი ძირკველიშვილი** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.17 იორმუღანლო **აიაზ ბაირამოვი** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.18 ლამბალო **ელშად კურბანოვი** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.19 თულარი **ილგარ ოჯახვერდიევი** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.20 დუზაგრამა **ეთგარ ილიასოვი** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

11.21 უდაბნო **ალექსი იოსელიანი** 41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა

20 ნოემბერი, 2017 წელი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 13 ნოემბრის № 284 განკარგულებით 20 ნოემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „№11 საგარეჯოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება“, მოხსენება გააკეთა ამავე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ **ზურაბ მღებრიშვილმა.** მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო №11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქში 2017 წლის 21 ოქტომბერს ჩატარებული ადგილობრივი მმართველობის არჩევნებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით არჩეული წევრების სია.

სხდომა გახსნა და დეპუტატებსა და დამსწრე საზოგადოებას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი გააცნო უხუცესმა **დეპუტატმა ნიკო გიუაშვილმა**. კენჭი ეყარა დროებით სამანდატო კომისიას შემდეგი შემადგენლობით: ზურაბ უსტიაშვილი (კომისიის თავმჯდომარე), ნიკო ნახუცრიშვილი (კომისიის მდივანი), ივანე ივანიშვილი (კომისიის წევრი). მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისია კი შემდეგი შემადგენლობით აირჩიეს: პაატა ასრათაშვილი (კომისიის თავმჯდომარე), ელდარ მეფარიძე (კომისიის მდივანი), თენგიზ ძირკველიშვილი (კომისიის წევრი).

სხდომაზე განხილულ დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე ***„2017 წლის მოწვევის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“*** მოხსენება გააკეთა ***დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ*** **ზურაბ უსტიაშვილმა.** როგორც მან აღნიშნა, თანახმად საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის I პუნქტის „ბ.გ.“ ქვეპუნქტისა, ასევე №11 საგარეჯოს საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისიის დასკვნის საფუძველზე 2017 წლის მოწვევის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 36 წევრს მიეცა უფლებამოსილება და დამსწრე საზოგადოებას გააცნო საკრებულოს ახლადარჩეული დეპუტატების სია.

სხდომაზე დაფუძნდა ფრაქცია ***„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.*** ცნობად იქნა მიღებული აღნიშნული ფრაქციის თავმჯდომარედ დეპუტატ ელდარ მეფარიძის დამტკიცების შესახებ.

რაც შეეხება საკითხს ***„2014 წლის მოწვევის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ“*** – მოხსენება გააკეთა ***საკრებულოს უხუცესმა დეპუტატმა*** **ნიკო გიუაშვილმა**. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, თანახმად საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 25-ე მუხლის მე-3 პუნქტისა, უფლებამოსილება შეუწყდა 2014 წლის მოწვევის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოცდათექვსმეტივე წევრს.

სხდომაზე ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ“*** საკითხი დეპუტატებს **ნიკო გიუაშვილმა** გააცნო. დეპუტატებმა საკრებულოს თავმჯდომარის ერთი კანდიდატურა წარმოადგინეს – **ოთარ ჩალათაშვილი** (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“). კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს დეპუტატებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გარსევან ბუხნიკაშვილმა და ნიკოლოზ ნაცვლიშვილმა და სხდომა დატოვეს. კენჭისყრაში მონაწილეობას ღებულობდა 34 დეპუტატი.

34 დეპუტატიდან ***34-მა ხმა ოთარ ჩალათაშვილს*** მისცა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ ოთარ ჩალათაშვილმა სხდომის მონაწილეთ მიულოცა 2017 წლის მოწვევის საკრებულოს I სხდომა,მადლობა მოახსენა ნდობისა და მხარდაჭერისათვის და ახლადარჩეულ საკრებულოს შემდეგი წარმატებები უსურვა. სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული საკრებულოს თავმჯდომარის ფრიდონ ბურდულის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატად დასახელდა **ლელა მარიდაშვილი**. კენჭისყრაში მონაწილე 34 დეპუტატიდან 34-ვემ ერთხმად მხარი დაუჭირა წარმოდგენილ კანდიდატურას. სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ცისმარ თედიაშვილის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

სხდომაზე საკითხი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გააცნო ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ*** **ოთარ ჩალათაშვილმა.**

საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი **ზურაბ უსტიაშვილი.** ამასთან, საკრებულომ ცნობად მიიღო წინა მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრე მეზვრიშვილის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი **ელენე სამხთუაშვილი.** ცნობად იქნა მიღებული წინა მოწვევის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ნიკოლოზ ვაჭრიშვილის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი **თამაზ ურდულაშვილი.** ამასთან, საკრებულომ ცნობად მიიღო წინა მოწვევის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მეევლად დუჩიძის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი **ივანე ივანიშვილი.** ამასთან, საკრებულომ ცნობად მიიღო წინა მოწვევის საკრებულოს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის ივანე ბეჟიაშვილის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი **გივი ბედიაშვილი**. ცნობად იქნა მიღებული წინა მოწვევის საკრებულოს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის ელდარ მეფარიძის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

საკრებულომ ყველა განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

24 ნოემბერი, 2017 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ამავე საკრებულოს *თავმჯდომარე* **ოთარ ჩალათაშვილი** უძღვებოდა. სხდომას საკრებულოს 33 წევრი ესწრებოდა. დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებმა – იურიდიულ საკითხთა (თავმჯდომარე ზურაბ უსტიაშვილი), საფინანსო-საბიუჯეტო (თავმჯდომარე ელენე სამხთუაშვილი), სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა (თავმჯდომარე თამაზ ურდულაშვილი), ეკონომიკისა და ქონების მართვის (თავმჯდომარე ივანე ივანიშვილი), სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების (თავმჯდომარე გივი ბედიაშვილი) კომისიების პერსონალური შემადგენლობა წარმოადგინეს. საკრებულოს წევრებმა კენჭი უყარეს თითოეული კომისიის პერსონალურ შემადგენლობას.

საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ*** **ელენე სამხთუაშვილმა.**

საკრებულოს წევრებმა მოსმენილ და განხილულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საკრებულოს სხდომის დასასრულ დეპუტატმა გარსევან ბუხნიკაშვილმა (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) გამოთქვა აზრი და ითხოვა – საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეებს მიეცეთ 10 დღიანი ვადა, რათა მათ საკრებულოს წევრებს წარმოუდგინონ სამომავლო სამუშაო პროგრამა. როგორც მან აღნიშნა, კომისიების მუშაობა, კომისიების თავმჯდომარეთა შესაძლებლობები მთლიანობაში განსაზღვრავს საკრებულოს მუშაობის ხარისხს, ამიტომაც აუცილებელია საკრებულო იყოს ქმედითუნარიანი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

21 ნოემბერი, 2017 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ლეძსო გილაშვილი** უძღვებოდა. მან დაწვრილებით გამოიკითხა წინა კვირის თათბირზე განაწილებული დავალებების შესრულების მდგომარეობა და გამგეობის შესაბამის სამსახურის უფროსებთან ერთად მოისმინა მუნიციპალიტეტის თემებსა და ცალკეულ სოფლებში არსებული პრობლემები. საუბარი შეეხო კაკაბეთის ე.წ. „საბას წყლით“ და „ჩანჩქერების წყლით“ მოსახლეობის მომარაგების მდგომარეობას. გამგებლის წარმომადგენლის გიორგი ციქუბაძის მიერ დაკონკრეტდა იქ არსებული ხარვეზები. ასევე, სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგების საკითხზე ისაუბრა მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა გიორგიწმინდაში გიორგი ჭიაბერაშვილმა. ამასთან, როგორც მან აღნიშნა, მოსახლეობის ვენახებთან გამავალი კანალიზაციის ქსელის დაზიანების გამო იტბორება ვენახები, რაშიც დახმარება საგარეჯოს მელიორაციის ხელმძღვანელობას უნდა ეთხოვოს.

გზების მოწესრიგებაზე გააკეთეს აქცენტი ვერხვიანში მერის წარმომადგენელმა ნოდარ ბეგიაშვილმა, კოჭბანის თემში – შმაგი ბერიძიშვილმა. როგორც მათ აღნიშნეს, გზების მოხრეშვა-მოწესრიგება საშური და აუცილებელია. როგორც ლექსო გილაშვილმა განმარტა, მძიმე ტექნიკის გამოსაყენებლად შედგენილია სათანადო გრაფიკი ზონებისა და სოფლების მიხედვით.

თათბირზე ლექსო გილაშვილმა კონკრეტული დავალებები მისცა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის,, არქიტექტურის, სტატისტიკის, ეკონომიკისა და ქონების აღრიცხვის სამსახურის უფროსს გიორგი ქურდოვანიძეს, ამავე სამსახურის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსს ბექა ფეიქრიშვილს, შპს „საგარეჯოს“ დირექტორს სანდრო უსტიაშვილს.

<u>სოფლის მეურნეობა</u>

მუშავდება ნიადაგი, ითესება თავთავიანები

მიმდინარე წლის შემოდგომის ნალექებმა გარკვეულწილად შეაფერხა მუნიციპალიტეტში საშემოდგომო ხვნა-თესვის კამპანია, რის გამოც ამ სამუშაოებმა მცირე ვადით გადაიწია. გამოიდარა თუ არა, ივრისპირელი მხვნელ-მთესველები მთელი ძალებით ცდილობენ გაცდენილი დროის ანაზღაურებასა და მიწისათვის თესლის დროულად მიბარებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებით, 24 ნოემბრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტში მთლიანობაში მოხნული იყო 8500 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, საიდანაც საშემოდგომო თავთავიანების მოსავალი დათესილია 7450 ჰექტარ ფართობზე. აქედან საშემოდგომო ხორბალი დათესილია 6000, ქერი – 1350 და სხვა კულტურები 100 ჰექტარზე.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

ვერხვიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელები ახლადდამონტაჟებულ გასართობებზე ხალისობენ.

ლანა როსტიაშვილის ფოტოები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

ელენე სამხეთაშვილი

დაიბადა – 1956 წელს;

განათლება – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკური ფაკულტეტი, სპეციალობა – ბუღალტრული აღრიცხვა, (1977-1982წწ), დავით გარეჯელის სახელობის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი, ფაკულტეტი ეკონომიკა და სამართალმცოდნეობა, კვალიფიკაცია – იურისტი (2000-2004წწ).

სამუშაო გამოცდილება: საგარეჯოს საბურავების შემკეთებელი ქარხანა – მთავარი ბუღალტერი (1982-2005წწ); საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ფინანსური მენეჯერი (2005 წლიდან დღემდე); შპს „ჯეოჰოსპიტალსის“ საგარეჯოს მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი, ფინანსური მენეჯერი (2011-2013წწ); საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – ინტერვიუერი (2009-2011წწ); საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ზედამხედველი (2009-2011წწ); საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო – დეპუტატი – საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე (1998-2002წწ); სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგი – საგარეჯოს რაიონის კოორდინატორი (2008-2011წწ); გაეროს ერთობლივი პროგრამის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოს დაფინანსებით მიმდინარე „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ ქალთა გაძლიერება-ცვლილებისთვის პროექტის ფარგლებში ნინოწმინდის თემის საინიციატივო ჯგუფი – ქალთა საინიციატივო ჯგუფის კოორდინატორი (2013 წლიდან დღემდე).

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ივანე ივანიშვილი

დაიბადა 1970 წელს.

განათლება – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, სპეციალობა – საზღვარგარეთის ქვეყნების სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაცია (1991-1996წწ).

სამუშაო გამოცდილება – საგარეჯოს სატყეო მეურნეობის ტყის კულტურების მუშა (1987-1988წწ); სამხედრო-სავალდებულო სამსახური (1988-1990წწ); საგარეჯოს პურის მიმღები საწარმოს უბნის ოსტატი (1990-1991წწ); საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (1995წ); პურის მიმღები საწარმოს ექსპედიტორი (1996-198წწ); შპს „თავთუხი“ – ექსპედიტორი (1997-1998წწ); საგარეჯოს რაიონის გამგეობის ეკონომიკური რეფორმებისა და პროგნოზირების განყოფილების გამგე (1998-2003წწ); შპს „ქართული პროდუქტი“ – წარმოების უფროსი (2003-2006წწ); ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენა“ – დასუფთავების განყოფილების უფროსი (2007-2016წწ).

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ზურაბ უსგიაშვილი

დაიბადა 1988 წელს

განათლება: ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მაგისტრი; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (იურისტი) (2011-2013წწ).

სამუშაო გამოცდილება: „თბილისელების“ ადვოკატი – თბილისის მერია (2010წ. 3 თვე); საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის გამოცდა-სერტიფიკატი – 2013წ; რეგიონის განვითარების ცენტრი (2013წ);

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი 2014 წლიდან 2017 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე.

სოციალურ, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

ოთარაზ ურდულაშვილი

დაიბადა 1958 წელს

განათლება: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი, სპეციალობა მგეგმავი ეკონომისტი (1979-1984წწ);

სამუშაო გამოცდილება: საგარეჯოს აგროსამრეწველო გაერთიანება – ეკონომისტი (1984წ მაისი-დეკემბერი); საგარეჯოს რაიონის სოფლის მეურნეობის პროფკავშირთა გაერთიანების ინსტრუქტორ-რევიზორი (1985-1986წწ); საგარეჯოს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (1986-1991წწ); 1991 წლიდან დღემდე ეწეოდა ბიზნესს.

1990 წელს იყო საგარეჯოს საკრებულოს წევრი.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გივი ბედიაშვილი

დაიბადა 1966 წელს.

განათლება – საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, სპეციალობა – ეკონომისტ-მენეჯერი; (1984-1989წწ).

სამუშაო გამოცდილება: საგარეჯოს საკონსერვო ქარხანა, რიგითი ბუღალტერი (1989-1998წწ); საბაჟო კონტროლის ორგანიზაცია – განყოფილების ინსპექტორი (1998-1999წწ); ექსპორტ-იმპორტისა და საბაჟო გაფორმების განყოფილების ინსპექტორი (1999წ); გამშვები პუნქტის ინსპექტორი (1999წ); რეგიონალური საბაჟო (2002-2004წწ); საწყობის ზედამხედველი – სააქციო საზოგადოება „ენერგოპროჯორჯია“ (2006-2008წწ); საგარეჯოს რწმუნებული (2008-2012წწ); აიპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ დირექტორი (2012-2013წწ); აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის დირექტორი“ (2013-2017 წლის ოქტომბრამდე).

არის ომის ვეტერანი.

სასკოლო ცხოვრება

აქ ქვეყნის მომავალი იძერწება

საბარეჯოს მეოთხე საჯარო სკოლა ჩვენი მუნიციპალიტეტის საუკეთესო საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის საუკეთესოდ სახელდება. ეს შედეგია იმ დიდი და დაუღალავი ძალისხმევისა, რასაც ამ სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და დირექცია მისი ღვაწლმოსილი ხელმძღვანელის ქ-ნი ნელი ბალახაშვილის ხელმძღვანელობით წლების მანძილზე დაუღალავად ახმარენ აქ სასწავლებლად მოსული ბავშვების სწავლა-აღზრდისა და მათთვის შესაფერისი სასწავლო გარემოს შექმნის საქმეს. ხოლო თუ როგორ ახერხებენ ისინი ამას, ეს დაინტერესებულმა პირმა ამ სკოლაში უნდა ნახოს, სადაც ვესტიბიულიდან დაწყებული, შენობის ყველა სართულსა და დერეფნებში უხვად შეხვდებით ამ ნათქამის დამადასტურებელ, მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მათი მშობლების

ხელით შექმნილ თვალსაჩინოების მასალებს და უამრავ ნამუშევრებს, რომელთა მეშვეობითაც დამთვალიერებლის თვალწინ ცოცხლდება ამ სკოლის კედლებში ჩვენი მომავალი თაობების დასაფრთიანებლად გაწეული შრომა. ყველაფერი ამის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი კი სკოლის ამაგდარი მენეჯერი გახლავთ, რომელიც დღენიადაგ რუდუნებით დასტრიალებს თავს აქაურობას. ზემოთქმულის დასტურად სკოლაში სტუმრად მისულს ქ-ნი ნელი ბალახაშვილი კაბინეტში არ დამიხვდა. მას და ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელს ნანული როსტიაშვილს სკოლის უკან მიმავალთ მივაკვლიე, რადაცაზე საუბრობდნენ. მათ მხოლოდ სამხრეთის მხარის ეზოსთან წამოვეწიე, სადაც ახლადდამუშავებულ და მავთულბადით შემოღობილ მიწის ნაკვეთთან, უცხო ადამიანებთან საუბრობდნენ. ნა-

კვეთი ასოციაცია „სამხარეო განვითარება – მომავალი საქართველოსათვის“ მიერ დაფინანსებული საცდელ-სამეურნეო მიწის ნაკვეთი აღმოჩნდა იქ მოწყობილი წვეთოვანი მორწყვის სისტემით, რომელიც იმ ადამიანებმა დაამონტაჟეს. აქ უკვე დაუთესიათ ისპანახი, გაზაფხულზე კი გააშენებენ მარწყვის, ჟოლოსა და უეკლო მაყვლის პლანტაციებს. ეს „საჩუქარი“ სკოლას მისი მოსწავლეების მიერ საგრანტო პროექტში „ჯანსაღი ცხოვრება“ გამარჯვების შემდეგ მოუპოვებია. აქ მოწეულ მოსავალს დამფინანსებლები თვითონ გაუკეთებენ რეალიზაციას და შემოსულ თანხას სკოლას ჩაურიცხავენ სხვა პროექტების განსახორციელებლად, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ მოსწავლეებში შრომითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. აქედან მასპინძლები სკოლის პირველ სართულზე დაწყებითი კლასებისაკენ გამიძღვნენ. დერეფანში ჩვენი სკოლებისათვის უჩვეულო გარემო – საკლასო ოთახების წინ დადგმული ტახტები, კედლებზე გაკრული დაფები და სიგრძეზე ჩამოშვებული ნახატებიანი ქაღალდის რულონები შევნიშნე.

– ალბათ გიკვირთ, არა ეს მდგომარეობა, – მიხსნის ქ-ნი ნელი, – ეს ტახტები აქ იმისათვის დგას, რომ გაკვეთილიდან გამოსულმა მოსწავლეებმა დაისვენონ და იაზროვნონ, დაფაზე დაწერონ თავიანთი აზრები. ზოგიერთს სურათის დახატვა მოუნდება და დახატავს ქაღალდზე. აი, ნახეთ ვიღაცას დაფაზე გული დაუხატავს მარიანა მასწავლებლისათვის. ე.ი. ბავშვებს უყვართ პედაგოგი მარიანა შიოშვილი. ყველაფერი ეს კი იმისთვისაა შექმნილი, რომ ბავშვებს გაუღვივოს შემოქმედებითი საქმიანობის სურვილი, რაიმეთი დაასაქმოს და მოარიდოს დროის უქმად მოხმარებას და ხარჯვას.

სკოლის დირექტორთან ერთად ვათვალიერებთ დაწყებითი კლასების ბავშვებისა და მათი პედაგოგების ხელით სხვადასხვა ნაწარმოებებისა და ზდაპრების გმირების სურათებით, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ორიგინალური თვალსაჩინოების მასალებით მორთულ საკლასო ოთახებს, რომლებმაც შეუძლებელია აღტაცებაში არ მოიყვანოს მნახველი და ყველგან ასეა, რომელთა კიდევ უფრო გამრავლება-გამრავალფეროვნება აქვს მიზნად დასახული სკოლის ხელმძღვანელსა და აქ ბავშვების საუკეთესოდ აღზრდის მიზნით მოსულ პედაგოგებს.

როგორც სკოლის დირექტორთან საუბარში გავარკვიეთ, 2017 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით სკოლაში ირიცხება 520 მოსწავლე, მათ შორის: დაწყებითი საფეხურის 292 მოსწავლე, საბაზო საფეხურის 126 მოსწავლე, საშუალო საფეხურის 102 მოსწავლე. ამ სასწავლო წელს პირველკლასელთა რაოდეობაა 48 მოსწავლე, ხოლო მე-12 კლასელთა რაოდენობა – 34.

სულ ფუნქციონირებს 23 ფინანსური კლასი. სწავლა ერთცვლიანია. სკოლაში დასაქმებულია 68 თანამშრომელი, მათ შორის: 53 პედაგოგი, სპეციალური მასწავლებელი, ექიმი, 3 მანდატური და სხვა. მასწავლებელთაგან 19 სერტიფიცირებულია. მათ შორის 1 საუკეთესო სერტიფიცირებული მასწავლებლის წოდებით ნინო ხაბაზიშვილი, რომელსაც ხელფასზე დანამატი აქვს 1000 ლარამდე, 5 პედაგოგს (ქეთევან ქვლივიძე, მარადი ქურდოვანიძე, ნინო ხვთისავრიშვილი, ხათუნა ქვლივიძე, ლია ზირაქიშვილი) ჩაბარებული აქვთ უცხო ენა და კომპიუტერი და ხელფასზე აქვთ

320 ლარიანი დანამატი.

ყოველ სასწავლო წელს სკოლას ჰყავს მედალოსნები და „ჩემი პირველი კომპიუტერის მფლობელები“. გასულ წელს სკოლას ჰყავდა 1 ოქროს და 3 ვერცხლის მფლობელი მოსწავლე. ეტალონის I ეტაპი წარმატებით გადალახა 5-მა მოსწავლემ, ნახევარფინალში გავიდა 1.

სკოლის ერთ-ერთი დირსება სასკოლო მუზეუმია, რომელიც გარდა ესთეტიკური სიამოვნებისა, არაჩვეულებრივი სასწავლო რესურსიცაა..

სკოლას აქვს დახურული ტიპის სპორტდარბაზი, აგრეთვე მინი ფეხბურთის სტანდარტული დია მოედანი, სადაც ვარჯიში და თამაში შესაძლებელია სპორტის ყველა გათვალისწინებულ სახეობაში, ასევე მე-3 კლასში დანერგილია ჭადრაკის ელექტრონული სწავლება.

სკოლაში მოსწავლეთათვის ფუნქციონირებს კლუბები: სამოქალაქო განათლების (ხელ-ლი მთვარისა ბაღათრიშვილი), ეკოლოგიური (ხელ-ლი ნანული როსტიაშვილი), ნორჩ ჟურნალისტთა (ხელ-ლი მანანა გილაშვილი), ისტორიკოსთა (ხელ-ლი ლია ზირაქიშვილი), ნორჩი მოგზაურების (ხელ-ლი ქეთევან ქვლივიძე).

– ქ-ნო ნელი, როგორ დაიწყეთ და როგორ მიმდინარეობს წლევანდელი სასწავლო წელი?

– სკოლაში სასწავლო პროცესი დაიწყო და მიმდინარეობს მშვიდ და შესაბამის სასიამოვნო გარემოში, რაც განპირობებულია კლასის დამრიგებლების, მასწავლებლების, სკოლის ყველა თანამშრომლის მოვალეობების კეთილსინდისიერი და გულისხმიერი შესრულების შედეგად. ისინი ყოველთვის ზუსტად და შეუმცდარად იცავენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 11 მარტის ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული სასწავლო გეგმით“ განსაზღვრულ მოვალეობებს; ეხმარებიან მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, ხელს უწყობენ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, პიროვნულ და მორალურ, გარემოს დაცვითი კულტურის და მეწარმეობის უნარების განვითარებას, უსაფრთხო და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაციას, მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლებას და ა.შ.

სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით. გვაქვს კომპიუტერული ლაბორატორია, არაჩვეულებრივი და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი „მომავლის კლასი“. საკლასო კაბინეტებში ყველგან არის ინტერნეტი და კომპიუტერები.

– თქვენი სკოლა ბევრ პროექტებში იღებს მონაწილეობას და არა ერთხელ გაუმარჯვია მათში. თუ შეიძლება ცოტა რამ მათ შესახებაც...

– როგორც იცით, საქართველოსა და ესტონეთის მთავრობებს შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია ზოგადი განათლების სფეროში გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარება, იმ სიახლეებისა და გამოწვევების გაცნობა, რასაც ადგილი აქვს განათლების სფეროში. ამ პროექტის ფარგლებში 2017 წლის მაისში ტალინში ოფიციალური ვიზიტით საქართველოს 15 საპილოტე სკოლის დირექტორები ადგილზე გავეცანით ესტონეთის საგანმანათლებლო სისტემას და სასწავლო პროცესს. 2017 წლის სექტემბერში საპილოტე სკოლის დირექტორებს, მოადგილეებს და დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს ჩაუტარდა ტრენინგები. ასევე მეოთხე სკოლას აღნიშნული პროექტის ფარგლებში გადმოგვეცა 2 ლეპტოპი, 2 დისტანციური პროექტორი შესაბამისი 2 ეკრანით.

თანამშრომლობა გრძელდება 2018 წელსაც, დაიგეგმება სასწავლო გეგმების დანერგვა და საგანმანათლებლო სივრცეში განვითარების ხელშეწყობის სხვადასხვა აქტივობები.

სკოლა ჩართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლების საგრანტო დაფინანსების პროგრამაში – „თავისუფალი გაკვეთილები“. აღნიშნულ პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით სკოლის მიერ წარდგენილ იქნა პროექტები, რომლებიც დაფინანსდა და წარმატებით მიმდინარეობს.

დასასრული
შემდეგ ნომერში

№22(155) 2017 წელი, 16-30 ნოემბერი

პირველები კახეთში

ნანა იოსელიანის თასს საგარეჯოელები დაეუფლნენ

23 ნოემბერს გურჯაანში, ნანა იოსელიანისა და გია გიორგაძის სახელობის საჭადრაკო კლუბის ახლადგახსნილ შესანიშნავ დარბაზში ჩატარდა ნანა იოსელიანის 2017 წლის თასის გათამაშება 12 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის, რომელშიც კახეთის რაიონების გუნდები მონაწილეობდნენ. თითოეული გუნდში 6 მოჭადრაკე – 4 ჭაბუკი და 2 გოგონა იყო.

გურჯაანის საჭადრაკო კლუბში საგარეჯოელებს კეთილი შურით შეგვშურდა გურჯაანელი მოჭადრაკეების, რომელთაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა, – საჭადრაკო კლუბი ქალაქის ცენტრშია განთავსებული და დაახლოებით 100 კვადრატული მეტრი უკავია, აქვს გათბობა და სველი წერტილები, ტუალეტი. როგორც შევიტყვეთ, არანაკლები პირობები აქვთ მეცადინეობისა და თამაშისთვის კახეთის სხვა რაიონების ჭადრაკის მწვრთნელებს და მათ აღსაზრდელებს. რაოდენ სამწუხაროა, რომ გამონაკლისს ამ მხრივ წარმოადგენს ჩვენი მუნიციპალიტეტი, სადაც მოჭადრაკე ბიჭუნები და გოგონები ერთმანეთისგან დაცილებულ პაწაწინა ოთახებში არიან შეყუჟული, სადაც მეცადინეობისათვის კომფორტული პირობები ნამდვილად არ არის, უფრო მეტიც, ბოლო მომენტამდე, რამდენადაც კურიოზულად არ უნდა მოგეჩვენოთ, მათ შენობაში არსებულ ერთადერთ ტუალეტსაც უკეტავდნენ.

არადა, ჩვენ ამ ბრძნული თამაშის დიდი ტრადიციები გაგვაჩნია – სხვას ყველას რომ თავი დავანებოთ, მარტო დათო გურგენიძის დასახელებაც კმარა, რომელიც მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონია საჭადრაკო კომპოზიციაში და ყველა დროის საუკეთესო ეტიუდისტად ითვლება მსოფლიოში. დათო ხომ წლების განმავლობაში სათავეში ედგა საგარეჯოს საჭადრაკო კლუბს და არაერთი ნიჭიერი მოჭადრაკე აღზარდა. სამწუხაროდ, 90-იან წლებში კლუბის შენობა დაიწვა და განადგურდა.

მიუხედავად ამისა, საგარეჯოელი ახალგაზრდები საუკეთესო შედეგებს აღწევენ, რაც გურჯაანში გამართულ ნანა იოსელიანის თასისათვის ბრძოლაშიც გამოჩნდა. ვიცით, როგორი გულისხმიერი და გამოცდილი ხელმძღვანელები მოვიდნენ მუნიციპალიტეტის სათავეში, დარწმუნებული ვართ ისინი გამოასწორებენ მათი წინამორბედების შეცდომებს და გარეჯელ მოჭადრაკეებს წვრთნისა და შეჯიბრის შესაფერის პირობებს შეუქმნიან.

რაც შეეხება უშუალოდ ტურნირს, როგორც მოსალოდნელი იყო მთავარი ბრძოლა თელავის, გურჯაანისა და საგარეჯოს გუნდებს შორის გაჩაღდა. თავიდანვე დაწინაურდნენ საგარეჯოელები, რომლებიც ყველა შეხვედრას დიდი უპირატესობით იგებდნენ. თითქოს თასის ბედი უშუალოდ ფავორიტების შეხვედრაში უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ მოულოდნელად თელაველებმა ფრედ 3:3 დაამთავრეს შეხვედრა ლაგოდეხელებთან და მათ საგარეჯოსთან შეხვედრაში მხოლოდ გამარჯვება ესჭიროებოდათ, თუმცა ვერ მოახერხეს – ეს შეხვედრაც ფრედ დასრულდა. ამის შემდეგ ყველაფერი გურჯაანისა და საგარეჯოს პაექრობაზე იყო დამოკიდებული. გურჯაანელებს ფრეც აწყობდათ, მაგრამ გარეჯელებმა მათ შანსი არ დაუტოვეს, 5:1 დაამარცხეს მასპინძლები და ნანა იოსელიანის თასს დაეუფლნენ.

საგარეჯოს გუნდის შემადგენლობაში თამაშობდნენ: ზუკა გამრეკელაშვილი, იოანე ინაშვილი, ლუკა ტიგინაშვილი, საბა დუჩიძე, ნინო ესაიაშვილი და მარიამ აგულაშვილი. (გუნდის ხუთი წევრის მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძეა, ერთის – ნინო ესაიაშვილის – ნანი უნაფქოშვილი და ელენე ფარეშიშვილი).

რაც შეეხება მეორე ადგილს, იგი თელაველთა კუთვნილება გახდა (მწვრთნელი – საერთაშორისო დიდოსტატი თამარ ხმიადაშვილი). მათ გადაეცათ ვერცხლის მედლები და შესაბამისი დიპლომები. ხოლო გურჯაანელები (მწვრთნელი გია ქიტესაშავილი) შესაბამისად მესამე საპრიზო ადგილს და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

გამარჯვებულებს ნანა იოსელიანის სახელობის თასი გადასცეს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ, კახეთის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა და საერთაშორისო დიდოსტატმა ნანა იოსელიანმა. მათვე გადაეცათ ოქროს მედლები და დიპლომები. გარდა ამისა, საპრიზო ადგილებზე გასულმა მოჭადრაკეებმა საჩუქრად მიიღეს მობილური ტელეფონები, ხოლო გუნდის მწვრთნელებმა – ნოუთბუქები.

ზურაბ აგულაშვილი

თეატრი

ყველგან და ყოველთვის წარმატებულები

საგარეჯოს მიხეილ ჭიაურელის სახელობის სახალხო თეატრის მსახიობებს: პაატა ქვლივიძეს, ირაკლი ლიპარტელიანს, მიშა ხოკერაშვილს, ფატი ღვინიაშვილს, ბადრი დრეიძეს, მარინა შიოშვილს, თინათინ მეზვრიშვილს, ანანო ქვლივიძეს და დათო ბერიძეს, ასევე უნიჭიერესს ახალგაზრდა რეჟისორს ნიკოლოზ საბაშვილს, თამაზ იმნაძეს და კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორს ბ-ნ ბესო ღვინაშვილს ვულოცავთ ლიტვის რესპუბლიკაში, ქალაქ კაუნასში თეატრალურ ფესტივალზე გრან პრის მოპოვებას!

ჩვენი თეატრი ლიტვის სახალხო თეატრის მიწვევით, 19-25 ნოემბერს იმყოფებოდა გასტროლზე ლიტვაში. თეატრმა ლიტველი მაყურებლისთვის წარმოადგინა სპექტაკლი „საქართველო", რომლის რეჟისორი ნიკოლოზ საბაშვილია.

სპექტაკლმა ლიტველი მაყურებლისა და ჟიურის დიდი მოწონება და სიმპათია დაიმსახურა და თეატრალური ფესტივალის გრან-პრის მფლობელი გახდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი თეატრი ადრეც იყო მიწვეული ლიტვაში, თეატრალურ დღეებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ლიტვის სახალხო თეატრი 5 დღიანი გასტროლით საგარეჯოშიც იმყოფებოდა. ასე რომ, ჩვენს თეატრსა და ლიტვის სახალხო თეატრს შორის მეგობრობა დღესაც გრძელდება.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ ჩვენს თეატრს ამ ღირსეულ გამარჯვებას და კვლავ მრავალ წარმატებებს ვუსურვებთ მათ სამომავლოდ!!!

ნინო გვაგვალია

სპორტი

თავისუფალი ჭიდაობა

ერთი მესამე ზარიბეგ ბერიაშვილის ტურნირიდან

2017 წლის 10-12 ნოემბერს თბილისში ჩატარდა ზარიბეგ ბერიაშვილის სახელობის ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, სადაც მონაწილე აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" სპორტსმენებიდან მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა **ფირუზ ქვლივიძემ.**

ძიუდო

ოლიმპიური გამოწვევის პროგრამაში მონაწილე ძიუდოისტებმაც გვასახელეს

11 და 12 ნოემბერს თბილისში ჩატარდა „ოლიმპიური გამოწვევის პროგრამით" გათვალისწინებული საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 2003-2004 და 2005-2007 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის . სხვებთან ერთად ტურნირში მონაწილეობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" მოჭიდავეები, რომლებმაც სამი პირველი, ექვსი მეორე და ხუთი III ადგილი დაიკავეს.

2005-2007 წლებში დაბადებულთა ასპარეზობაში ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: ონისე ბორაშვილი (30კგ) და ვახტანგ ხოსიტაშვილი (55კგ), ვერცხლის სინჯის მედლები თავიანთ წონებში მოიპოვეს ლუკა კანჯარაშვილმა და დათო კევლიშვილმა. მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ: ვახტანგ ჭიაბერაშვილი, (34კგ) და გიორგი სულიკაშვილი (38კგ). ამავე ასაკობრივ ჯგუფში მძიმე წონაში მეორე ადგილზე გავიდა ბექა დიღმელაშვილი, დავით კევლიშვილი კი – მესამეზე.

2003-2004 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის მოასპარეზე გარეჯელთა შედეგები ასეთია: I ადგილი – ლაშა მამულაშვილი (მძიმე წონა), II ადგილი – სანდრო სონიშვილი (მძიმე წონა), თენგო ზირაქაშვილი (46კგ), დავით შათირიშვილი; III ადგილი – გიორგი ჭიაბერაშვილი (60კგ), ნიკა ნოზაძე (73კგ).

ძიუდო

საპრიზო ადგილები ოლიმპიური რეზერვების მზადების ცენტრში მისაღები საკვალიფიკაციო ტურნირიდან

11 და 12 ნოემბერს თბილისში ჩატარდა საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში მისაღები საკვალიფიკაციო ტურნირი ძიუდოში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" სპორტსმენები. ასპარეზობა ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა – 2000-2001 და 2002-2003 წლებში დაბადებულ მოჭიდავეთა შორის.

2000-2001 წლებში დაბადებულთა შორის ტურნირის ჩემპიონი გახდა ნოდარ ქურხული (60 კგ), მეორე ადგილზე გავიდა ნიკა ბასილაშვილი (66კგ).

2002-2003 წლებში დაბადებულთა შორის მონაწილე მახარე გულბანმა კი II ადგილი დაიკავა 46 კგ წონით კატეგორიაში.

ბ. დაბახიშვილი

ინფრასტრუქტურა-2017

საგარეჯოს სტადიონი სახეს იცვლის

საგარეჯოში სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტი ორ ეტაპად განხორციელდება. პირველ ეტაპზე მოეწყობა ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მოედანი, მოპირკეთდება სტადიონის შიდა და გარე ფასადები, შეიღებება ლითონის კონსტრუქცია, ხოლო მეორე ეტაპზე ტრიბუნა და გასახდელები მოეწყობა. სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დაფინანსდა და მისი ღირებულება 636 557 ლარს შეადგენს. განახლებული სტადიონი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება. სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „კლასიკ-სტროი“ ასრულებს.

გვანცა ჯავახიშვილი

ასეთი იქნება სტადიონის ტრიბუნა

სტადიონის ტრიბუნა რეკონსრუქციამდე

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გაიცილეს „შემოდგომა-2017“

მანავის საბავშვო ბაღი

საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღი

ექიმი-ხელოვანი

თიხაში გაცოცხლებული სილამაზე

საგარეჯოელებმა ნანა მჯედლიშვილმა და მსოფლიოში სახელგანთქმულმა მოჯიდავემ ლევან თედიაშვილმა 45 წლის წინ შექმნეს ოჯახი. დიახ, მას შემდეგ 45 წელი გავიდა... სიხარულიანიც და ტკივილიანიც...

გილოცავთ, კვლავაც დიდხანს ყოფილიყავით ერთად, საქართველოზე, ქართველობაზე უზომოდ შეყვარებულები, საქართველოს მეციხოვნენი და ჯირისუფალნი.



ნანა მჯედლიშვილის სახელი საგარეჯოელთათვის მხოლოდ ულამაზეს და უსათნოეს პიროვნებად არ ასოცირდება. ჩვენი ნანა – ჯერ კიდევ საგარეჯოს პირველ საშუალო სკოლაში ასე მოიხსენებდნენ უნიჭიერეს და თავმდაბალ, მადალი გემოვნების მქონე, გულითად მეგობარსა და საგარეჯოელებზე უზომოდ შეყვარებულ გოგონას. მშობლებმა, წარმოშობით სართიჭალელებმა საგარეჯოს რაისაავადმყოფოში მუშაობის დაწყების შემდეგ საგარეჯოშივე მოაწყეს ლამაზი, მშვიდი, მყუდრო ბინა. ბესო ექიმი საგარეჯოელთათვის საყვარელი პიროვნება ათეული წლების განმავლობაში რაიონის მთავარი ექიმი იყო, ქალბატონი ნინო კი – ოფთალმოლოგი. სამი გოგონა შეეძინათ... უფროსი ნანა იყო, სწორედ ნანა გაჰყვა დედის პროფესიას – თბილისში აღიარებულ ოფთალმოლოგს წლების განმავლობაში უწევდა საზღვარგარეთ მივლინებები, სადაც თავის გამოცდილებას დიდი სიამოვნებით უზიარებდა კოლეგებს და თავადაც იმაღლებდა კვალიფიკაციას... აკეთებდა ურთულეს, საინტერესო, შედეგიან ოპერაციებს, თვალის ჩინს უბრუნებდა ან უუმჯობესებდა მხედველობაზე თითქმის რწმენადაკარგულ პაციენტებს, შემდეგ კი იყო მადლიერება, დალოცვა, პროფესიონალ ექიმად აღიარება... ასეა, როცა ადამიანს მთელი გულით უყვარს თავისი საქმე, თავად საქმეევ მოუტანს ერთი შეხედვით შეუმჩნევლად, მაგრამ საქვეყნო აღიარებას... თუმცა ქ-ნი ნანა საქართველომ და არა მარტო საქართველომ სხვა კუთხითაც გაიცნო, როგორც შემოქმედი, ხელოვნებასთან წილნაყარი. ეს ნიჭი კი სულის ტკივილისას მიანიჭა უფალმა – ჭირთათმენის, სიცოცხლის გაგრძელების და გარშემომყოფთათვის კიდევ ერთი მაგალითის მიცემისა – ქართველი ქალის სულის უტეხობისა...

სიყვარულით შექმნა ოჯახი მსოფლიო ჭიდაობის ლეგენდასთან, საგარეჯოელ ლევან თედიაშვილთან. სრულიად საქართველო, კავკასია და ჭიდაობის მოტრფიალე მეზობელი ქვეყნები სიყვარულით ადევნებდნენ თვალს მათ ცხოვრებას. მშობლებთან ერთად შეჰხაროდნენ მათ „ბოკვერივით“ წამოზრდილ ვახოსა და ბესოს – ალალი, თბილი, მოსიყვარულე გულების მქონე ბიჭებს... აფხაზეთი გვეკარგებაო და ვეღარ გაჩერდა ვახო, სამშობლოს მიწა-წყლის დაცვისათვის გულანთებულმა სოხუმს მიაშურა, ვერც ლევანს გაუძლო გულმა და შვილის ნაკვალევს გაჰყვა – ერთად ვიქნებით, შვილის სარგო ტყვიას მე გადავეღობებიო, მაგრამ, სოხუმის აეროპორტში დაბომბვისას მძიმედ დაჭრილი ვახო მამის მკლავებიდან შეერწყა მარადიულობას.

მწარე, გულისგამხეთქავ რეალობასთან შეგუება ძნელი, მძიმე აღმოჩნდა, მაგრამ, სადაც დიდი განსაცდელია, იქ უფალი ადამიანს გამძლეობის უნარსაც ანიჭებს – დედა სჭირდებოდა ძმისგან ეულად დარჩენილ ბესოს... რა ექნა, ეს განსაცდელიც უნდა დაეძლია, როგორმე ეპოვა თუნდაც პატარა, ვიწრო ბილიკი მწარე ლაბირინთიდან გამოსასვლელი და ძლიერი სულის მქონემ მონახა კიდეც – თიხა, ყველაზე დამამშვიდებელი, დადებითი ენერგიის მატარებელი, ქართველი კაცისთვის ოდითგანვე ცნობილი თავისი სამკურნალო თვისებებით... მით უმეტეს, ბოლო წლებში, როცა ქალბატონი ნანა მიკროქირურგიას ჩამოსცილდა...

ხოდა, ეს მეგობრობა თითქმის 25 წელს ითვლის. ამ ხნის მანძილზე ქ-ნ ნანას შექმნილი ულამაზესი ნამუშევრები არა მარტო ქართველთა გულებს იპყრობს, ათბობს და დიდ ინტერესს იწვევს, მათ ისეთი დამთვალიერებლების გაოცებაც და აღტაცებაც გამოიწვიეს, რომელთაც თითქმის არაფერი აღარ აკვირვებთ – გერმანელების, ფრანგების.

თავად ქალბატონი ნანა ყოველთვის თავშეკავებულად აფასებს თავის ნამუშევრებს, რომელთაც დიდი რუდუნება, ნებისყოფა, ფერთა შეხამება და ლოდინი სჭირდება. თიხა, რომელიც ფაიფურად ქცევამდე 1200 გრადუს ტემპერატურას ითხოვს, თავდაპირველად ჯერ ყვავილად უნდა „ჩამოყალიბდეს“, სადაც ბოტანიკური სიზუსტით უნდა აისახოს თითოეული შტრიხი, ხაზი, შეიძინოს ფერი და ღუმელში



გამოწვის შემდეგ მნახველს ხშირად უჭირს მისი ნამუშევრების განსხვავება ნატურალური ყვავილიდან, რადგან ყვავილედსა თუ ფოთოლში ისე სწორადაა გატარებული სასიცოცხლო ხაზი, ნამუშევარი თითქოს შემოგდიმილებს და ამ ღიმილით გათბობს, მეტ ინტერესს იწვევს.

ასე იყო 2004 წელს, როცა ქ-ნმა ნა-

ნამ საგარეჯოელებს თავისი ნამუშევრები ერთგვარი მოკრძალებით და თავმდაბლობით წარმოგვიდგინა. მაშინ გამოფენა საგარეჯოს კულტურის სახლის მცირე საკონცერტო დარბაზში მოეწყო. გამოფენა რამდენიმე დღეს მასპინძლობდა ჩვენი რაიონის მცხოვრებთ, შემდეგ კი იყო გამოფენა პროფესიონალ ქალთა ასოციაციის ეგიდით გალერეა „უნივერსამში“. მანამდე იყო გერმანია, საფრანგეთი – აღფრთოვანებული დამთვალიერებელი, რომელთაც ქართველმა ოფთალმოლოგმა ქართული სურნელით გაჟღენთილი, თიხაში ამღერებულ-გაღიმებული ყვავილებით, ბუნების ამ ლამაზი ქმნილებებით შეახსენათ, რომ სიცოცხლე გრძელდება, რომ ადამიანის შესაძლებლობები ამოუწურავია...

ამბობენ, ყვავილი მიწის ღიმილიაო, ხოდა, ქალბატონმა ნანამ გვიჩვენა, როგორი ლამაზი ღიმილიც სცოდნია მიწას... მისი ყვავილებიც ხომ თიხიდანაა, დიდი სიყვარულით შექმნილი.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

მილოცვა



აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ თანამშრომლები დაბადების დღეს ვულოცავთ ამავე გაერთიანების მწვრთნელ-მასწავლებელს **რამაზი (რეზო) ხუბგრელაშვილს,** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს და სიხარულს!